საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ზ. გ. ადვოკატ ა. ბ.-ის წინააღმდეგ

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის შემადგენლობა:

ეკატერინე გასიტაშვილი – კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ბეგიაშვილი – კომისიის წევრი

ლავრენტი ქავთარაძე – კომისიის წევრი

საჩივრის ავტორი – ზ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 2010 წლის 29 სექტემბერი

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი №074/10

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ა. ბ., სიითი ნომერი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ბ.-ისათვის ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის შემადგენლობა:

ემზარ პაქსაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

იური ვაზაგაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია

1.1. 2010 წლის 29 სექტემბერს საქართველოს მოქალაქე ზ. გ.-მ საჩივრით მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ა. ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. განმცხადებელმა საჩივრებს დაურთო ადვოკატ ა. ბ.-სთან გაფორმებული რწმუნებულება, ასევე ხელწერილი, რომლის საფუძველზეც ადვოკატს სამოქალაქო დავა უნდა ეწარმოებინა.

1.3. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2006 წლის 14 მაისს მან ასესხა 3000 აშშ დოლარი მარინე ქველაძეს, რაზეც ჩამოართვა მას ხელწერილი, (იხ.თანდართული ქვითრები). მოვალე მას თანხას არ უბრუნებდა, რის გამოც იგი იძულებული გახდა მიემართა სასამართლოსათვის.

1.4. საჩივრის ავტორის განმარტებით, ახლობელმა ურჩია მისი მეგობარი ა. ბ. აეყვანა ადვოკატად, რაც განახორციელა კიდევაც.

1.5. საჩივრის ავტორის მტკიცებით, ადვოკატი მას დაჰპირდა სარჩელის სასამართლოში შეტანასა და საქმის მის სასარგებლოდ გადაწყვეტას.

1.6. 2009 წლის 25 თებერვალს საჩივრის ავტორმა ადვოკატზე გააფორმა რწმუნებულება 6 თვის ვადით და გადაუხადა 500 ლარი, რომელიც მოიცავდა როგორც საადვოკატო მომსახურების ანაზღაურებას, ასევე ბაჟის გადახდის საფასურსაც.

1.7. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ თვეების მანძილზე ადვოკატი ა. ბ. ატყუებდა, რომ სარჩელი უკვე შეტანილია და ელოდება სხდომის ჩანიშვნას, თუმცა მის მიერ რწმუნებულებით მინიჭებული 6 თვიანი ვადა ისე გავიდა, რომ სხდომა არ ჩანიშნულა.

1.8. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან მოგვიანებით გაარკვია, რომ მისი სახელით სასამართლოში წარდგენილი იყო სარჩელი, თუმცა სარჩელზე დადგენილი იყო ხარვეზი ბაჟის გადაუხდელობის გამო და ხარვეზი არ იყო შევსებული, რის გამოც სარჩელი დარჩა განუხილველი.

1.9. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს არ მიუწოდებია მისთვის აღნიშნული ინფორმაცია საქმის წარმოების თაობაზე, ასევე ა. ბ.-ის მიერ არ იქნა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, რომელიც საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს მომსახურების საფასურთან ერთად გადაუხადა.

1.10. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ა. ბ.-ის უმოქმედობით გაშვებულ იქნა სარჩელის შეტანის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა.

1.11. ზ. გ. ითხოვს ადვოკატ ა. ბ.-ს დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა და დაუბრუნდეს ადვოკატისათვის სადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხა 500 ლარის ოდენობით.

1.12. 2010 წლის 17 დეკემბერს და განმეორებით დანიშნულ 21 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე არ გამოცხადდა საჩივრის ავტორი ზ. გ.. შესაბამისად, განხილვის კოლეგიამ ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მიხედვით, საქმე მისი მონაწილეობის გარეშე განიხილა.

2. ადვოკატ ა. ბ.-ის განმარტების მიხედვით

2.1 ადვოკატ ა. ბ.-ს წერილობით, დისციპლინური საქმის საპროცესო და განხილვის ეტაპებზე დაზღვეული ფოსტით გაეგზავნა შეტყობინება და საქმის მასალები, რომელიც მას 2010 წლის 16 ოქტომბერსა და 2010 წლის 16 ნოემბერს ჩაბარდა. ეთიკის კომისიის კოორდინატორები ვერ დაუკავშირდნენ ადვოკატ ა. ბ.-ს ასოციაციის რეესტრში რიცხულ ტელეფონის ნომერზე.

2.2. ადვოკატი 2010 წლის 21 დეკემბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა და ზეპირი ახსნა-განმარტება მისცა კომისიას ზ. გ.-ის საჩივართან დაკავშირებით.

2.3. ადვოკატ ა. ბ.-ის განხილვის კოლეგიის სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტების თანახმად, საჩივრის ავტორმა - ზ. გ.-მ სამ პიროვნებას ასესხა თანხა. ზ. გ.-მ ადვოკატს გადასცა ხელწერილი ვალის არსებობის თაობაზე და ჰკითხა, თუ სად იქნებოდა უკეთესი სარჩელის შეტანა: კერძო არბიტრაჟსა თუ სასამართლოში?

2.4. ადვოკატი განმარტავს, რომ მან კლიენტს მისცა რჩევა დავის წარმოება კერძო არბიტრაჟის მეშვეობით წარემართა და საარბიტრაჟო პრეტენზიებიც წერილობით მოუმზადა. თუმცა, შემდეგში ზ. გ.-მ უარი განაცხადა საარბიტრაჟო სასამართლოში შეეტანათ საარბიტრაჟო პრეტენზია, რადგან ბაჟის თანხა საკმაოდ მაღალი იყო და სასამართლოსადმი მიმართვის გზა არჩია.

2.5. ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, სადავო ქონება დატვირთული იყო იპოთეკით, შესაბამისად მან ურჩია კლიენტს, რომ მოლაპარაკება ეწარმოებინათ მოვალეებთან. ადვოკატმა განაცხადა, რომ იგი პირადად ხვდებოდა მოვალეებს და მოლაპარაკებას აწარმოებდა.

2.6. ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, მან სარჩელი სასამართლოში შეიტანა 2010 წლის 7 აგვისტოს; სარჩელთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა ხარვეზი და ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაბარდა ადვოკატს 2010 წლის 20 აგვისტოს. ადვოკატის ახსნა-განმარტების მიხედვით, მას ხარვეზის შესავსებად ვადა 2010 წლის 24 აგვისტომდე ჰქონდა. ადვოკატმა ახსნა-განმარტებისას მიუთითა, რომ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა ხარვეზის ვადის გაგრძელების თაობაზე, ხოლო მის რწმუნებულებას ვადა ეწურებოდა 2010 წლის 25 აგვისტოს.

2.7. ადვოკატმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან სამოქალაქო საქმის №2/6222-09 მასალების გამოთხოვის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით აღნიშნული საქმეებით დადასტურდება, რომ ის კეთილსინდისიერად ახორციელებდა წარმომადგენლობას ზ. გ. სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით.

2.8. ადვოკატმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა მოწმე ბადრი იაკობიძის მოწვევის თაობაზე, რომელიც დაადასტურებდა, რომ ადვოკატმა თანხა დააბრუნა.

2.9. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობები და საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვა აღნიშნული სამოქალაქო საქმის მასალები, ასევე, მოწმის სახით განმარტებისათვის მოიწვია ბადრი იაკობიძე.

3. მოწმე ბადრი იაკობიძის ახსნა-განმარტება

3.1. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2011 წლის 28 იანვარს გამართულ სხდომაზე გამოცხადდა მოწმე ბადრი იაკობიძე. მოწმე ბადრი იაკობიძემ კომისიას წარმოუდგინა მისი პირადობის მოწმობა.

3.2. მოწმის ახსნა-განმარტების თანახმად, ადვოკატი ა. ბ. და დიმიტრი ბოლოთაშვილი მისი მეგობრები არიან, ა. ბ. კეთლისდინისიერი და წესიერი ადამიანია.

3.3 მოწმე ბადრი იაკობიძემ დაადასტურა, რომ ა. ბ.-მ დიმიტრი ბოლოთაშვილს გადასცა თანხა 200 ლარის ოდენობით. კომისიის შეკითხვაზე, თუ რისი თანხა იყო ბოლოთაშვილისათვის გადაცემული 200 ლარი, მოწმემ განმარტა, რომ ამ ინფორმაციას არ ფლობს.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

4.1. 2010 წლის 29 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიამ გამოიტანა გადაწყვეტილება ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტი და მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი, ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები.

4.3. საპროცესო კოლეგიას განმარტავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, თუმცა თვლის, რომ ადვოკატის მიერ კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ შეიძლება ჩაითვლოს, თუ ადვოკატი მხოლოდ სარჩელის მომზადებისა და სასამართლოში შეტანით შემოიფარგლება და სრულყოფილად არ დაიცავს კლიენტის ინტერესებს საქმის წარმოების შემდეგ ეტაპებზე.

4.4. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე. ასევე საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის უნდა მოხდეს სწორი ინფორმაციის მიწოდება.

სამოტივაციო ნაწილი

1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოება

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1.1. 2009 წლის 25 თებერვალს საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატ ა. ბ.-ის სახელზე გაცემულ იქნა სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულება 6 თვის ვადით.

1.1.2. ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ზ. გ.-მ 2010 წლის 29 სექტემბერს საჩივარი ეთიკის კომისიას (1-ლი გვ; 1-3 აბზაცი)

2. ზ. გ.-მ 2010 წლის 5 ოქტომბრის ახსნა-განმარტება. (1-2 გვ; 1-7 აბზაცი)

3. სანოტარო აქტი – რეესტრში რეგისტრაციის №X-XXX, 2009 წლის 25 თებერვალს გაცემული ა. ბ.-ზე, 6 თვის ვადით და ძალაშია 2009 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.

1.2. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

1.2.1. ადვოკატის უმოქმედებამ გამოიწვია ზ. გ.-ის სარჩელის სასამართლოში წარდგენისათვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გაშვება.

განმცხადებლის ახსნა-განმარტების მიხედვით, ადვოკატი მას დაჰპირდა სარჩელის სასამართლოში შეტანასა და საქმის მის სასარგებლოდ გადაწყვეტას, თვეების მანძილზე ეუბნებოდა, რომ სარჩელი შეტანილი იყო და ელოდებოდა სხდომის ჩანიშვნას. საჩივრის ავტორმა მოგვიანებით გაარკვია, რომ სარჩელზე დადგენილი იქნა ხარვეზი და საბოლოოდ, საქმე ბაჟის გადაუხდელობის გამო დარჩა განუხილველი. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ა. ბ.-მ არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, რომლის თანხაც საჩივრის ავტორმა ადვოკატს რწმუნებულების გაფორმებისთანავე, საადვოკატო მომსახურების საფასურთან ერთად გადასცა.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ა. ბ.-ის უმოქმედობით გაშვებულ იქნა სარჩელის შეტანის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა.

ადვოკატი ახსნა-განმარტების მისაცემად ეთიკის კომისიაში არ გამოცხადებულა და არ წარმოუდგენია წერილობით მოსაზრებები საჩივართან დაკავშირებით. მოგვიანებით, კომისია ადვოკატს დაუკავშირდა და განხილვის ეტაპზე მოისმინა ახსნა-განმარტება საქმესთან დაკავშირებით.

ადვოკატმა ახსნა-განმარტების ეტაპზე ითხოვა სასამართლოდან სამოქალაქო საქმის მასალების გამოთხოვა. მისი წერილობითი შუამდგომლობა დამაყოფილდა.

სასამართლოდან გამოთხოვილი მასალების თანახმად, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის (საქმე № 2/6222-09) განჩინების თანახმად დასტურდება, რომ 2009 წლის 11 აგვისტოს სასამართლომ მიიღო განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე. ადვოკატის განცხადების საფუძველზე სასამართლომ გააგრძელა ხარვეზის ვადა 2009 წლის 21 სექტემბრის განჩინებით. აღნიშნული განჩინება ზ. გ.-ის წარმომადგენელს - ა. ბ.-ს ჩაბარდა 2009 წლის 4 ნოემბერს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ზ. გ.-ის 2010 წლის 29 სექტემბერს საჩივარი ეთიკის კომისიისადმი (1-ლი გვ; 1-3 აბზაცი);

2. ზ. გ.-ის 2010 წლის 5 ოქტომბრის ახსნა-განმარტება. (1-2 გვ; 1-7 აბზაცი)

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინება.

1.2.2. ადვოკატმა ა. ბ.-მ თავის კლიენტს – ზ. გ.-ს არ მიაწოდა ინფორმაცია სასამართლოს მიერ სარჩელზე ხარვეზის დადგენის თაობაზე.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს არ მიუწოდებია მისთვის აღნიშნული ინფორმაცია.

საქმეში არსებული 2009 წლის 10 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინების თანახმად დასტურდება, რომ ადვოკატს ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაბარდა 2009 წლის 4 ნოემბერს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ზ. გ.-ის 2010 წლის 29 სექტემბერს საჩივარი ეთიკის კომისიისადმი (1-ლი გვ; 1-3 აბზაცი);

2. ზ. გ.-ის 2010 წლის 5 ოქტომბრის ახსნა-განმარტება. (1 გვ; მე-2 აბზაცი)

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინება.

4. **შემაჯამებელი დასკვნა**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა და საქმის განმხილველი საპროცესო კოლეგიის თავმჯდომარის ახსნა-განმარტებები და მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას გამოვლენილია შემდეგი გადაცდომები:

ა) ადვოკატმა დაარღვია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები."

ბ) ადვოკატმა დაარღვია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია... , რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან".

გ) ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა... განახორციელოს წარმომადგენლობა".

დ)ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის... შესახებ".

5.2 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ კლიენტის მიერ ადვოკატისათვის წარმომადგენლის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გარდა კანონმდებლობით გამონაკლისის სახით დადგენილი საპროცესო მოქმედებებისა.

5.3 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულ ვადაში სასამართლოს მიერ სარჩელზე დადგენილი ხარვეზის შევსება და თუ ასეთი ხარვეზის შევსება კლიენტის ჩართულობას მოითხოვს, მაშინ კლიენტის დროული ინფორმირება ხარვეზის შევსების საჭიროების თაობაზე.

5.4 მოცემულ საქმეში საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილია რწმუნებულება, რომლის მიხედვითაც ადვოკატ ა. ბ.-ს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება ემოქმედა საჩივრის ავტორის სახელით და განეხორციელებინა კანონმდებლობით განსაზღვრული საპროცესო მოქმედებები.

5.5 საქმის მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატმა ა. ბ.-მ შეადგინა სარჩელი და წარადგინა სასამართლოში. სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, სასამართლოს მიერ სარჩელზე დადგინდა ხარვეზი და ვინაიდან მოსარჩელის მიერ დანიშნულ ვადაში არ აღმოიფხვრა ხარვეზი, სასამართლომ გამოიტანა განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

5.6 განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატს, როგორც სარჩელის ავტორის წარმომადგენელს, უნდა განეხორციელებინა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საპროცესო ღონისძიება იმისთვის, რომ სარჩელი წარმოებაში ყოფილიყო მიღებული. კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ

ადვოკატზე გაცემულ რწმუნებას ვადა ჰქონდა გასული. ასეთ შემთხვევაში მას არ უნდა ჩაებარებინა სასამართლოს განჩინება, ხოლო თუ განჩინება პირადად ადვოკატმა ან ადვოკატის ნაცვლად ჩაიბარა მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან ადვოკატის თანამშრომელმა, ადვოკატი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ ეცნობებინა განმცხადებლისათვის ხარვეზის შესახებ, რაც მას არ გაუკეთებია ან სასამართლოსათვის დაებრუნებინა განჩინება იმ მოტივით, რომ იგი აღარ იყო მოსარჩელის წარმომადგენელი. ადვოკატმა არც ერთი მოქმედება არ განახორციელა.

5.7 კომისიას მნიშვნელოვნად მიაჩნია განმარტოს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, თუმცა, ადვოკატის მიერ კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ შეიძლება მიჩნეული იქნეს მხოლოდ ის გარემოება, რომ ადვოკატი სარჩელის მომზადებისა და სასამართლოში შეტანით შემოიფარგლება. მხარეებს შორის გაფორმებული რწმუნებულებაში მითითითებულია, რომ ა. ბ.-ს ევალება ზ. გ.-ის ინტერესების დაცვა ყველა ინსტანციის სასამართლოში. მასთან, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ადვოკატმა იცოდა, თუ როდის გადიოდა მის რწმუნებას ვადა, თუმცა, მას არ უცნობებია ამის თაობაზე კლიენტისათვის. კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატი ვალდებული იყო კლიენტისათვის ეცნობებინა და განემარტა ის სამართლებრივი შედეგები, რაც უკავშირდება ვადაგასული რწმუნებით წარმომადგენლობის განხორიციელების შეუძლებლობას. ასეთი განმარტების შემთხვევაში, განმცხადებელს თავად ექნებოდა შესაძლებლობა მიეღო გადაწყვეტილება, კვლავაც გაუგრძელებდა ა. ბ.-ზე გაცემულ რწმუნებას ვადას თუ სხვა ადვოკატს მიმართავდა სამართლებრივი დახმარებისათვის. ადვოკატის მიერ ზემოხსენებული ქმედების განხორციელების შემთხვევაში, განმცხადებელი ზ. გ. სავარაუდოდ აირიდებდა იმ შედეგს, რაც გამოიწვია განჩინებით დადგენილი ხარვეზის აღმოუფხვრელობამ, კერძოდ, ზ. გ.-ის სარჩელის განუხილველად დატოვებამ. კომისია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის მიერ კლიენტის არაინფორმირებულობის შედეგზე. კლიენტისათვის სრულყოფილად მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ, კონკრეტული დავის მაგალითზე სახელმწიფო ბაჟის კლიენტის მიერ გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატის ქმედება არ იქნებოდა დისციპლინური გადაცდომა.

5.8 კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის უმოქმედობის შედეგად დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე" პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

5.9 კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობისა და სავარაუდო შედეგების თაობაზე.

5.10 განხილვის კოლეგიის აზრით, ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება უშუალო კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია, რომ ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე.

5.11 კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ყურადღების გამახვილება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობაზე, რადგან მოცემულ შემთხვევაში, სარჩელზე ხარვეზის აღმოუფხვრელობამ კლიენტს წაართვა შესაძლებლობა, მისი სარჩელი წარმოებაში მიეღო სასამართლოს და სარჩელის წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის საფრთხე შექმნა.

5.12 კომისია მიიჩნევს, რომ საქმის მსვლელობის თაობაზე ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, რაც უთუოდ გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას სრულფასოვნად, გასაგებ ენაზე და დროულად. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მას უთხრა, რომ მისი სარჩელი წარმოებაში იყო მიღებული და ელოდებოდა პროცესის ჩანიშვნას. კომისია განმარტავს, რომ კლიენტისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, არის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების არჯეროვანი შესრულება.

5.13 კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატი მუდმივად უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას. მოცემულ საქმეში, საჩივრის ავტორი გამოთქვავს პრეტენზიას, რომ იგი ვერ ახერხებდა ადვოკატთან დაკავშირებას, რამაც შეუზღუდა საქმის მსვლელობის თაობაზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.

5.14 კომისია განმარტავს, რომ საქმეში არსებული მასალების თანახმად, ადვოკატმა ა. ბ.-მ პირადად ჩაიბარა ხარვეზის დადგენის თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება და კლეინტისათვის არ უცნობებია ამის თაობზე, ამასთან, იგი ვალდებული იყო ეცნობებინა კლიენტისათვის ხარვეზის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მის რწმუნებას უკვე ვადა ჰქონდა გასული, ეს გარემოება ადვოკატ ა. ბ.-ს არ ათავისუფლებდა ვალდებულებისაგან, ინფორმაცია მიეწოდებინა კლინეტისათვის.

5.15 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინური საქმე №022/10/ დაადგინა: „ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდება საპროცესო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები.”

5.16 კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა ა. ბ.-მ კლიენტს არ მიაწოდა დროული და სწორი ინფორმაცია მისი საქმის მსვლელობის თაობაზე, რამაც კლიენტის ინტერესებს ზიანი მიაყენა. შესაბამისად, ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი.

სარეზოლუციო ნაწილი

კომისიამ იხელმძღვანელა “ადვოკატთა შესახებ” კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე” პუნქტის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის, „ადვოკატთა

დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების მე-19 და მე-20 მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დადასტურებულად იქნეს მიჩნეული სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრის ა. ბ.-ის /სიითი № / მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

2. ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.

3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.

4. ადვოკატ ა. ბ.-ს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაეწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე – ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი – გიორგი ბეგიაშვილი

კომისიის წევრი – ლავრენტი ქავთარაძე